



# ბორჯომი

20 ივლისი  
ხუთშაბათი  
2023 წელი  
№30 (9292)

რაიონის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი გამოდის 1931 წლის 20 ივლისიდან

შპსი 40-თმობი

## გაზეთ „ბორჯომის“ კადასტრის!

გამოცხატავ რა თქვენს მიმართ უღრმეს პატივისცემას, როგორც თქვენი გაზეთის მუდმივი მკითხველი, ამასთანავე თქვენს გაზეთში სმირად იბეჭდება ჩემი წერილები საქართველოს მინების საკითხებთან დაკავშირებით, დაჯილდოვებული ვარ თქვენი გაზეთის სპეციალური სიგელით. სამწუხაროდ, დაგვიანებით შევიტყვევ, რომ თქვენს გაზეთს აქვს ფინანსური პრობლემები და დასურვის პირზეა მისული, რომელიც ცნობილია არა მარტო ბორჯომის ხეობისათვის, არამედ თავის საინტერესო, მაღალპროფესიული და კრიტიკული წერილებით (რაც აუცილებელია გაზეთისათვის). ასევე ცნობილია საქართველოს მოსახლეობისათვის და დიდ მწონებას იმსახურებს საქართველოს უურნალისტა შორის.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, რაიონის ხელმძღვანელობა არ დაუშ-



ვებს ისტორიულად ცნობილი გაზეთის დახურვას და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ რაიონის შეუნარჩუნოს საუკუნეს მიტანებული გაზეთი, რომელიც ბორჯომის ხეობის მოსახლეობისათვის ნამდვილად მემკვიდრეა.

რედაქციის მცირერიცხვან კოლექტივს ვუსურვებ გამძლეობას, მწამს, თქვენ დაძლეეთ კრიზისი და გაიმარჯვებთ.

**ანზორ მისხივილი,**  
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ფაზისის აკადემიის აკადემიკოსი, სერთიფიცირებული ექსპერტი, უძრავი ქონების (მინების) საკითხში.

## იგივეს „ათნელთმა“ - 2023

**სოფელ ტაძრისში საზეიმოდ აღნიშნეს „ათნელობა - 2023“.** ღონისძიებას სახელმწიფო რწმუნებული სამცხე-ჯავახეთის მხარეში, **ბასი პაპიაშვილი,** რწმუნებულის მოადგილეები **დავით პარკაძე** და **შოთა რუსთაშვილი,** ბორჯომის მერი **რეზა პარკაძე,** მოადგილე **მარკო ტაბაძე,** საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე **ნინო ქოსტაძე** და კულტურის განყოფილების ხელმძღვანელი **გელა შიშინაძე** ესწრებოდნენ.

ლექსები წაკითხა ბორჯომელმა დიდი ბანცაძემ, აქვე მოეწყო ვარა სუციშვილის და მაკო აბუნიანის წახატების გამოცემა, წელი ბლიაძის ხელნაკეთების გამოცემა, რომლებმაც დიდი მწონება დაიმსახურა.

გაიმართა დოლი, პირველი ადგილი დაიკავა გიორგიმინდელმა

**გიორგი ათონელი** XI საუკუნეში ქართველი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, მწერალი, მთარგმნელი, ეროვნული კულტურის მამამთავარი, ათონის ივერთა მონასტრის წინამძღვარი გახლდათ. მან სასულიერო ცხოვრებაში პირველი ნაბიჯები სწორედ სოფელ ტაძრისში გადადგა, სადაც ის დასთან თეკლასთან ერთად მიუყვანიათ და ღვთისმომპატივითა და სიბრძნით განთქმული წინამძღვრისთვის წმინდა საბინაშეთის ჩაუბარებიათ.

ათონელობის ზეიმი კულტურული ღონისძიებით გაგრძელდა ღონისძიებაში მონაწილეობა მი-



ლონისძიება სპორტული აქტივობებით გაიხსნა. სპორტის მოყვარულები ერთმანეთს შეჯიბრდნენ, ქართულ ჭიდაობაში და დოლი შეჯიბრდნენ. პირველი ადგილის მფლობელს ბორჯომის მუნიციპალიტეტის მერიისგან „მეგატე ქიქის“ 300 ლარიანი ვაუჩერები გადაეცა. გამარჯვებულები მედლებითა და სიგელებით ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებმა დააჯილდოვეს.

საბა გოჩაშვილი. მკლავში სხვადასხვა ნივთში პირველი ადგილი დაიკავა **ნეკა ემფენჯიანი,** **ლაშა ჩუტკერაშვილი,** **სარქის ბარსეგიანი,** აბსოლიტურ წონაში გაიმარჯვა ბაკურიანელმა **დავით გაგამ.** ქართულ ჭიდაობაში სხვადასხვა წონით კატეგორიაში პირველი ადგილები დაისაკუთრეს **გიორგი შაყულაშვილი,** **ჯაბა ყიფშიძე,** **ვალერი მეტრეველი,** ხოლო აბსოლიტურ წონაში ერთმანეთს შეხვდნენ ტაძრისელი **ვალერი აბურაძე** და თბილისელი **ფარნა ფარჯანი.** გაიმარჯვა **ფარნა ფარჯიანი,** რომელსაც გადაეცა ცხვარი და ოცლიტრანი ღვინო.

**გაიმარჯვებულები დაჯილდოვდნენ მედლებით, თასებით და სიგელებით.**



კულტურულ-მასობრივ ღონისძიებებში მონაწილეობდნენ ანამბლ „ქერმისის“ მოციკვავები, ხალხურ საკრავთა

## სამრთაპოლისო ფესტივალი



ბორჯომის მერაბ კოსტავას სახელობის ბაღში, ღია ცის ქვეშ, ცეკვის და სიმღერის სამრთაპოლისო ფესტივალი

ლი „კულტურათა სოლიდარობა“ გაიმართა. სამრთაპოლისო ფესტივალი მონაწილეობას იღებდნენ ბალტიისპირეთის ქვეყნების სიმღერის და ცეკვის ფოლკლორული ანსამბლები, ასევე საქართველოს მუსიკალური ანსამბლები.

ღონისძიებას ესწრებოდა მერიის ადმინისტრაციული სამსახურის კულტურის, განათლების, სპორტის, ძველთა დაცვის, ახალგაზრდულ საქმეთა და ტურისტების განყოფილების უფროსი შალვა გოგოლაძე.

სამრთაპოლისო ფესტივალი „კულტურათა სოლიდარობა“ მულტი და ეთნოკულტურული პროექტების საინიციატივო ჯგუფის ორგანიზებითა და ბორჯომის მერიის ხელშეწყობით გაიმართა.

იღეს კულტურისა და ხელოვნების ცენტრის ცეკვის და სიმღერის ანსამბლებმა და სახალხო მითქმელებმა. ასევე, მოეწყო ხელნაკეთი ნივთების გამოფენა-გაყიდვა.

„ათონეობა“ მსშაბურად პირველად 2018 წელს აღინიშნა. მისი ინიციატორი სოფელ ტაძრისის ადმინისტრაციული ერთეულის დეპუტატი, ქალბატონი **გოლეტი ბუაჩიანი** და ადგილობრივი მოსახლეობა იყო. ამ დღის აღნიშვნა უკვე ტრადიციად დამკვიდრდა.

ჯგუფი **გოჩა ბლიაძის** ხელმძღვანელობით. სიმღერები შეასრულეს „მზეშინას“ და „ნუნანას“ მომღერალთა გუნდებმა.

მატერული კითხვა „**მე ვარ ქართველი**“ წაკითხა **გიორგი ხალაძემ**, სიმღერა „**არსო ტის მთასავით**“ შეასრულა **ბონდო კავასაძემ**, საკუთარი



## რაგომ იზინებთან და ილანქაზიან მოქალაქეები?

**ჩემი პროფესიიდან** გამომდინარე, უამრავ ადამიანთან მიწვეს ურთიერთობა, რომლებიც ხშირად საუბრობენ ჩემთან იმ პრობლემებზე, რაც ქალაქში არსებობს. ვთვლი, რომ ბორჯომის საზოგადოებას არაფერი გამოეპარება, არც კარგი, არც ცუდი და არც ხამალა საუბარს ერიდებიან აღნიშნული საკითხების ორგანიზაციაში, მეც რაკილა ამასთან დაკავშირებით დავუწყე საუბარი, ალბათ ბევრი ბორჯომელის სათქმელს ვიტყვი. წლების წინანდელ მდგომარეობას თუ გადავხედავთ, იმ ძველ ბორჯომთან შედარებით, ახლანდელ ბორჯომში ბევრი რამაა საამაყო. ქალაქში თუ დაბა-სოფლებში მოწვევრებული ინფრასტრუქტურა, დაგებული გზები, უამრავი სკვერი თუ გასართობი სივრცე, მოწვევრებული წყლის სისტემა (უმეტეს ადგილას, თუმცა არა ყველგან). თუმცა ის, რაზეც თვალს ვერ დავხუჭავთ და მოსახლეობაც ხამალა საუბრობს არის, ის რომ მინცდამინც ყოველი სეზონის დანაწილის წინ რაგომ ხდება საჭირო ცენტრალური გზის განწმენვა? თოვლ და წვიმა გამოვლი ტრასაზე უთვალავი რაოდენობის ორმოა და დანიშნულების ადგილზე მისასვლელად ნახევარი საათი რომ გჭირდება ადამიანს, უსწორმასწორო გზების გადამკიდეს ერთ საათშიც ვეღარ მიდისარ. რამდენიმე დღის წინ ბორჯომში ერთ-ერთ შუბვედრაზე ვიყავი. შეხვედრის დან-

ყების დრო პირველი საათი გახლდათ, თუმცა სტუმრებმა ბოდიშის მოხდით დარეკეს და შეგვატყობინეს, რომ საცობის გამო შეგვიანდებოდათ. დამსწრეთაგან ბევრს სწორედ ის გარკვეული დრო სჭირდა გამოყოფილი კონკრეტულ შეხვედრაზე დასასწრებად და სამწუხაროდ,

## ისევ ძველი პრობლემები

საათზე მეტხანს მოგვინია ლოდინმა, რომ შეხვედრის მოწვევები მოსულიყვნენ. ცოტა ხნის წინ კი სოციალურ ქსელში ვიპოვის ხდამდე სანამ მიხვალთ, აი სწორედ იმ ტერიტორიაზე გადაღებული ვიდეო ვნახე, საცოში მოყოლილი პირივნება როგორ იღებდა და სამწუხაროდ, კადრებში გარდა საცობისა, ჩანდა საშინელი მტვერი, ბული, ფაქტურად, სუნთქვა რომ შეუძლებელია, სწორედ ის სიტუაცია იყო აღწერილი.

ქუჩაში გახვალ და წლებია მოუგვარებელია „ვერსის“ ავთიაქის მიმდებარე ტერიტორიიდან დანაწეული ყოფილი „თიბისი“ ბანკის შენობამდე არსებული ფეხით სავალი გზა განსაკუთრებით საფრთხილი და საშიში წვიმიანი და თოვლიანი ამინდია. დადისარ და შენთან ერთად მოძრაობს ვითომ „დაგებული“ ფილები და თანაც თუ ფეხი გადაგბრუნდა, არც ისაა გამოოცხული კისერი და ფეხი ერთდროულად



ფაქტია, რომელიც შაბათს გაცეკლდა სოციალური ქსელის ერთ-ერთ გვერდზე, რომელიც ბორჯომის საჭირობოთო საკითხებს ეხება და არამარტო მას, ბევრი დადებითი ინფორმაციაც შემხვედრია იქ, თუმცა ახლა რომ არ მოგვეცე, რაც იმ

გვერდზე ვნახე, არ შეიძლება. ვიდეოში პირივნება გვიჩვენებს, რომ მთის ხეობისკენ მიმავალ გზაზე, სწორედ იქ, სადაც მოსახლეობა მოძრაობს და უამრავი ლამპირი დგას, სადენები პირდაპირ მიწაზე დევს, ერთ მონაკვეთზე კი სადენი გადაჭრილია. ამ ვიდეოს ხილვის შემდეგ კიდევ ერთი ამბავი გამახსენდა, რამდენიმე თვის წინაც ზუსტად პარკში, სასტუმრო „ქრავუნ პლასას“ მიმდებარედ, სანამ ცივი წყლის ბიუვეტამდე მიხვალთ აი იმ მონაკვეთში რომ გადადილო ვილცამ არსებული სიტუაცია და იქაც ჩანდა, რომ განათებისათვის საჭირო სადენები ყოველგვარი დამცავი ხუფების გარეშე იყო დამოფილი. აღნიშნული ვიდეოს გავრცელების შემდგომ, მალევე კი მოახდინეს რეაგირება და სადენები შეფუთეს კიდევ, თუმცა, ნუთუ ამისთვის ჩვეულებრივმა, როგორც ამა დამიანებმა უნდა მიგით-

თონ? ამ ყოველფერა შემდეგ უამრავი კითხვა ჩნდება, ნუთუ არ შეიძლება, რომ საკურორტო ზონაში, სადაც უმრავი ადამიანი, დამსვენებელი თუ ტურისტო ჩამოდის, ასე ყოველწლიურად არ იყოს გასაკეთებელი გზები, ასე უნსროგოდ არ იყოს მიტოვებული განათების სისტემა? და თუ კეთდება, იქნებ, ხარისხიანად მინც გადაკეთონ? კონკრეტულად ვისი ბრალეულობაა ამ შემთხვევაში უკვე ნაკლებად საინტერესოა. უნდა აღვნიშნოთ, რომ აგერ უკვე მეორე წელია დაუმთავრებელია ხამური-ვალეს საავტომობილო გზის, ახლანდელ-წელიწადის მონაკვეთი. ყოველდღე აღნიშნულ მონაკვეთზე მძღოლებისა და მგზავრების ლანძღვა-გინება იმის კომპანია „არალის“ მეგზვევებს კი არაადაც არ ექცარებათ, ჩვეული სიმშვიდით აგრძელებენ თავის საქმეს. ერთი კვირის საქმეს, ერთ თვე, უნდებთან, ამიტომაც არის ამ მონაკვეთზე გაუთავებელი საცობები.

**P.S.** ყოველფერა ზემოთ ხსენებული საკითხები, მოსახლეობის უკმაყოფილების მიზეზია და ადრე თუ გვიან, ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა გაითავისოს, ის რომ, მხოლოდ თანხის გადახდა არ არის საკმარისი იმისთვის, რომ გარკვეული სახის სამუშაოები ჩატარდნენ. ამისათვის საჭიროა ხარისხის მატრი კონტროლი და დაქარავეული მუშა-ხელის კომპეტენციის დონის განსაზღვრა, რათა იმ შედეგებამდე არ მივიდეთ, რა შედეგებიც დღეს სახეზეა და კიდევ, საინტერესოა, თუ მუშაობს ჩვენთან მონიტორინგის სამსახური, რომელიც წელიწადში რამდენჯერმე მანც შეამოწმებს ჩატარებული სამუშაოების ხარისხს, რათა დარღვევების შემთხვევაში შესაბამისი რეაგირება მოახდინონ და უფაღმა გვაშოროს და ფატალურ შედეგებამდე არ მივიდეთ.

**მომზადა ნატო გილიძემ**











პოეზიის კუთხე

ვიდრე ცოცხალი ვარ...

ძირძველი ფესვებით მოსულმა ისტორიამ - სიზმრებად აკინძა ეს ჩემი ისტორიაც, დღეს უმწერო-მინიერო და ომით გაშტერებული: მშვიდი ფილოსოფიით - თავს რომ გვიტყვინან. „თუ გინდა მშვიდობა - ემზადეო ომისთვის“... ვითომდა... ეს აზრი მართლა მშვენიერია. თუმცა ამდგავარს, მოგვითხრობდნენ ჩვენი მამებიც: „მცვალებულისთვის - წირვა არის, - გზა უკვდავებისა“. ვიცი, რომ უფალი ყველგან მეფობს და როგორ, არ დავუჯერო? ძნელია ამაზე ფიქრიც! ყოფნა-არყოფნის კითხვებიც მარადიულია, ტყუილ-მართლის განაჩენს ექვემდებარება, სანწყის-სასრულის კანონის რწმუნად გვაოცებს, შევგონი დობილად: „მთა-თეთრი-რაშის“ ოცნებას! დასკვნა:

ვიდრე ცოცხალი ვარ: „ვიქნები, მეც სიზმარში“  
გარდაცვალების შემდგომ... კვლავ სიცოცხლისათვის!!!  
ნაზამ არშულაძე,  
პოეტი-  
ბორჯომი



„ჩემი გამოცხადება“ - ბორჯომი

სამცხე-ჯავახეთის მედი-  
აცენტრის ოფისში „ჩემი  
გამომცემლობის“ პრეზენ-  
ტაცია და ავტორებთან  
შეხვედრა გაიმართა.  
აღსანიშნავია, რომ  
გამომცემლობა პანდემი-  
ის პერიოდში დაარსდა  
და ის უკვე მესამე წე-  
ლია აქტიურად ჩაერთო  
ქართულ საგამომცემლო  
ბაზარზე და არაერთი  
სამეცნიერო თუ მხატვრუ-  
ლი ლიტერატურის ნი-  
მუში გამოცხადდა, რომელ-  
თა შორის არის ინდოელ-  
თა მისტიკოსისა და  
ფილოსოფოსის, ოშო  
რაჯნის თარგმანები და  
თანამედროვე ავტორებ-  
ის პროზაული თუ პოე-  
ტური ნამუშევრები, რომ-  
ლებიც დღევანდელ სო-  
ციალურ და სულიერ  
ყოფას ეხმარებიან.  
ლონსძიებაზე გამომცემ-  
ლობა წარადგინა მისმა  
დამფუძნებელმა, სოციალ-  
ურ მეცნიერებათა დოქ-  
ტორმა, ჟურნალისტმა,  
პოეტმა, არაერთი თარგ-  
მანის, სამეცნიერო და მხ-  
ატვრული ნაწარმოების  
ავტორმა ქალბატონმა  
ოლიგო ცისკარიშვილმა.  
მკითხველის წინაშე „ჩემი  
გამომცემლობის“ ერთ-ერთი  
უკანასკნელი გამოცემის,  
მისტიკურ-ფილოსოფიური



რომანის („სიცოცხლის ამ-  
ბავი“) ავტორი - დავით  
სარატიშვილი წარსდგა მან  
ისაუბრა წიგნის დაწერის  
მისეულ ისტორიასა და  
წიგნის სიუჟეტზე.  
ასევე, ქალბატონმა  
ოლიგომ კი ერთ-ერთი  
მისი კრებულიდან საკუ-  
თარი ლექსები წაიკითხა.  
სტუმრებს საშუალება  
ჰქონდათ წიგნები საგა-  
მომცემლო ფასად შეეძი-  
ნათ. გამომცემლობას წარ-  
მოადგენილი ჰქონდა  
როგორც მხატვრული  
ლიტერატურისა და  
პროზის ნიმუშები, ასევე  
ფსიქოლოგიური და  
ფილოსოფიური ლიტერ-  
ატურა. აღსანიშნავია, რომ  
აღნიშნული შეხვედრა  
ერთგვარი საქველმოქმე-  
დო ხასიათისავე გახლდათ,

კლასიკური მუსიკის საღამოები

15-16 ივლისს,  
ბორჯომის ცენტრალურ (ისტორი-  
ულ) პარკში  
კლასიკური მუსიკის  
საღამოები გაიმარ-  
ტა.  
კლასიკური  
მუსიკის საღამოზე  
მონაწილეობა მი-  
იღეს ბორჯომის  
ზაქარია ფალიაშ-  
ვილის სახელობის  
სამუსიკო სკოლის  
პედაგოგებმა და  
მოსწავლეებმა.

„უკრაინა მოლატეხის სახელს უკმა“

რუსეთის შეჭრიდან დღემდე უკრაინაში სახელმწიფოს ღალატის  
ბრალდებით 1300-ზე მეტი საქმე აღძრეს, ოფიციალური ინფორმაცი-  
ით, 2022 წლის თებერვლიდან დღემდე უკრაინის ეროვნული ინ-  
ტერესების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულებრივ საქმიანობასთან  
დაკავშირებით 1677 საქმე აღძრეს, მათ შორის, 1315 საქმე სახელმ-  
წიფოს ღალატს ეხება, ამავე პერიოდში, უკრაინაში 286 სისხლის  
სამართლის წარმოება დაიწყო კოლაბორაციონისტულ საქმიანობასთან  
დაკავშირებით და 23 საქმე აგრესორი სახელმწიფოს ხელშეწყობის  
ფაქტზე.  
ამჟამად უკრაინაში 1052 პირს ამოწმებენ, რომლებიც სახელმწიფო  
ღალატისა ან კოლაბორაციონისტულ საქმიანობაში არიან ეჭვმიტა-  
ნილები. ყველაზე მეტი საქმე აღძრულია ლუგანსკის, ზაპოროჟიის,  
ხერსონისა და დონეცკის ოლქებში. მაგალითისათვის, მათ შორის  
არის კომპანია „მოტორ სიჩის“ ყოფილი პრეზიდენტი ვიჩისლავ  
მოგუსლაევი, რომელსაც რუსეთთან თანამშრომლობაში ადანაშაულებენ.  
კერძოდ, ბრალდებაში საუბარია რუსულ სახელმწიფო კომპანია  
„როსტეხთან“ თანამშრომლობისა და რუსული ვეტერანებისათვის  
განკუთვნილი სათანადო ნაწილების მიწოდებაზე, რაც ომის დაწყე-  
ბის შემდეგაც გრძელდებოდა. მოგუსლაევი 2022 წლის ოქტომბრ-  
დან პატიმრობაშია.

გაზეთი რეგისტრირებულია ბორჯომის სასამართლოს მიერ 1997 წელს, რეგისტრაციის  
№24.04.59  
რედაქციამ შეიძლება გამოაქვეყნოს ისეთი წერილები, რომელთა ავტორების  
თვალსაზრისს თვითონ არ იზიარებდეს.  
გაზეთის დამფუძნებელია რედაქციის კოლექტივი.  
მისამართი: ბორჯომი, ფალიაშვილის №2. ტელ: 22-29-65. იბეჭდება შპს  
გამომცემლობა „საარში“. თბილისი, თედორე მღვდლის №57.  
borjomi@inbox.ru რედაქტორი: პალმირან ლომიძე



ჩვენს ერთგულ მეგობარს და ძმასავით  
საყვარელ ბორჯომელს ვულოცავთ  
დაბადების 85 წლის იუბილეს. ვუსურვებთ  
ჯანმრთელობას, ბედნიერებას, უღვე სიხარულს  
და ღვთის წყალობას. სულ მალე ერთად  
გვეხვედროს ბიჭვინთაში დაბრუნება.  
მემოზრები.

თეატრი და პოეზიის მისი გაცემა

ელზა ხერხეულიძე - 55 წელი  
თეატრის სცენაზე და ბორჯომელი  
მაყურებლის საყვარელი მსახიობი.  
ელზა ხერხეულიძე ადამიანია, სამსახ-  
იობო კარიერის გარდა, ის წერს  
ლექსებს, სატავს და თავისი ლექსე-  
ბისთვის მელოდიებს ქმნის.  
მიუხედავად იმისა, რომ პროფესი-  
ით მსახიობი არ არის, ამბობს, რომ  
თეატრი მისთვის ყველაფერია. ის  
არის ადგილი, სადაც თავს ყველაზე  
კომფორტულად გრძობდა. 12 წლის  
ასაკში საბავშვო გაზეთ „ჯეჯილიში“  
რედაქტორად დაინიშნა მუშაობა. 1973  
წელს ბორჯომის სახალხო თეატრ-  
ის რეჟისორმა გიორგი ხმალაძემ  
მასში სამსახიობო ნიჭი შეამჩნია და  
სახალხო თეატრში სათანაოდ მიი-  
წვია. 1988 წელს კი ელზა ხერხეუ-  
ლიძე გურჯაანის სახალხო თეატრში  
მიინიშნეს, შემდგომ კი გურჯაანის  
ტელევიზიის ხელმძღვანელი გახდა.  
1999 წელს მშობლიურ ქალაქში  
დაბრუნდა და ახალგაზრდულ თე-  
ატრში რეჟისორად დაინიშნა მუშაო-  
ბა.  
გარდა წარმატებული სამსახიობო  
კარიერისა იგი ახალგაზრდებს სამ-  
სახიობო და სარეჟისორო საქმიანო-  
ბის შესწავლაში ეხმარება. 2006  
წლიდან 2022 წლის ბოლომდე ელზა  
ბორჯომის თოჯინების პროფესიულ  
თეატრში მსახიობად მუშაობდა. 55  
წლიანი სამსახიობო კარიერის გან-



მავლობაში მან არაერთი მნიშვნელო-  
ვანი როლი შეასრულა. დიდი სიყ-  
ვარულითა და ერთუზიანობით ემსახ-  
ურებოდა საყვარელ თეატრს და მყ-  
ურებებს. რისთვისაც მან ბორ-  
ჯომელების დიდი სიყვარული და  
პატივისცემა დაიმსახურა. დღეს იგი  
სამხატვრო საქმიანობას ეწევა.  
ელზა ხერხეულიძე არაერთი კონკურ-  
სის და ფესტივალის გამარჯვებულია.  
მინიჭებული აქვს საუკეთესო ქალის  
როლის შემსრულებლის სტატუსი,  
დაჯილდოებულია სიგელებითა და  
მედალებით.

ბორჯომი - ფესტივალის მასპინძელი

ბორჯომი კლასიკური მუსიკის XII საერთა-  
შორისო ფესტივალს უმასპინძლა. საქართველოს  
გარდა ფესტივალში სხვადასხვა ქვეყნის გუნდები  
იღებდნენ მონაწილეობას (ა.შ.შ, აზერბაიჯანი, სომხ-  
ეთი, ლიტვა, თურქეთი). აღსანიშნავია, რომ ფეს-  
ტივალს საფუძველი 2010 წლიდან ჩაეყარა და  
თავდაპირველად მასში მონაწილეობას მხოლოდ  
საქართველოში მოღვაწე კლასიკური მუსიკის გუნდები  
იღებდნენ. თუმცა, წლების შედეგ ფესტივალის  
საერთაშორისო გახდა და დღეს უკვე მასში  
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის გუნდებს შეუძლი-  
ათ მონაწილეობის მიღება. ფესტივალზე აღნიშნეს  
ბათუმის რევაზ ლალიძის გოგონათა გუნდის  
მოღვაწეობის 15 წლისთავი. ამ 15 წლის მან-  
ძილზე გუნდი 11 გრანპრისა და უამრავი მნიშ-  
ვნელოვანი ჯილდოს მფლობელი გახდა. გუნდს  
მონაწილეობა აქვს მიღებული ევროპის თითქმის  
ყველა ქვეყანაში ჩატარებულ მნიშვნელოვან  
კონკურსებში. აღსანიშნავია, რომ მეთორმეტე  
საერთაშორისო ფესტივალზე ბორჯომის ზაქარ-  
ია ფალიაშვილის სამუსიკო სკოლის მოსწავლე  
შალვა არბოლიშვილი დაჯილდოვდა დიპლო-  
მით ნომინაციაში საუკეთესო დუეტის შეს-  
რულებისათვის (პედაგოგი მარინა გაბაშვილი).  
ფესტივალის ფინანსური მხარდაჭერა საქართვე-  
ლოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის  
სამინისტროსთან ერთად ადგილობრივმა ხელისუ-  
ფლებამ უზრუნველყო.



ნათო მასხალი

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით,  
წარმოება-დანესებულებებს შორის გაიმართება  
ტურნირი ფრენბურთში.  
I ადგილზე გასულ გუნდს 900 ლარი, II ადგი-  
ლზე გასულ გუნდს 600 ლარი, ხოლო III  
ადგილზე გასულ გუნდს 300 ლარი გადაეცემა.  
განცხადებების მიღება დაწყებულია.  
ინფორმაციისათვის დარეკეთ ნომრებზე: 591959541,  
599574349 ან მობრძანდით მისამართზე: ბორჯო-  
მის მუნიციპალიტეტი, მესხეთის ქ. №5.

ბორჯომის მუნიციპალიტეტის ინიციატივით

სული ამინოკეფიევი, ჩვენო ნაფერებო, ან-  
გელოზო მამიდაშვილო... ყურს ვერ ვუჯერებ...  
ჩემო უმცროსო ძამიკო, ჩემო გიოოოოო... იმ  
ომის ქარცხელში იმიტომ დაიბადე, რომ ახლა  
ასეთი უბედური შემთხვევა მომხდარიყოოოო...  
რატომ გაგვიღივებ გულში... შენი და-ძმისთვის  
სიტყვა „ნუგეშმა“ ფერი დაკარგა...  
როგორ მოინწყინეს სვანეთის მთებმაც... ალ-  
ბათ, ერთი წლის მონატრებულმა დეიდამ შეგ-  
ილო სასუფევლის კარი...  
ბიჭები უმგულის გზაზე უბედური შემთხ-  
ვევით, ავტომობილით გადავრდნენ სევში.  
სამოქალაქო პანაშვიდი გაიმართა სამების საკათედრო ტაძარში  
და ოჯახებს ოფიციალური სამძიმრის წერილი გამოუგზავნა პა-  
ტრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა, ილია მეორემ.  
მონია ქანტარია



გაზეთი „ბორჯომის“ რედაქციის თანამშრომლები მხსნაკებით იუ-  
წყებიან, რომ ბრაზილია ლაილა ჩვენი ქულების მონია ქან-  
ტარიას უსაყვარლესი მამიდაშვილი ბი(ო)რ(ბ)ი  
სამძიმარს ვუხსნადათ მას და მის ახლოკუთხს.

პეტრინის ჩიხის მცხოვრები მეზობლები იუნებებიან, რომ გარდაიცვალა  
დასოუ სამსონიკა (ნაპატიმრო)  
და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.